

ანოტაცია

სსიპ - საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის ოზურგეთის წარმომადგენლობის ადმინისტრაციული შენობის რეაბილიტაციის სამშენებლო სამუშაოები

სამშენებლო ობიექტი მდებარეობს დასავლეთ საქართველოში, გურიაში, ქალაქ ოზურგეთში. თბილისიდან 318 კილომეტრში.

ტერიტორია მოიცავს საკადასტრო ერთეულებს (26.26.47.066) ფართით 2121კვ.მ; (26.26.47.005) ფართით 1081კვ.მ.

განაშენიანების ფართობი -1320.00 კვ.მ.

შენობის საერთო ფართობი-2940.00კვ.მ.

სარეკონსტრუქციო ობიექტი, საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის ქ.ოზურგეთის რეგიონალური წარმომადგენლობა განთავსებულია მართკუთხა მოხაზულობის მქონე მიწის ნაკვეთზე მდგომი შენობის აღმოსავლეთ ფლიგელში. არსებული შენობა სამ სართულიანია, სარდაფით, რომელიც წარმოადგენს 80-იანი წლებში აშენებულ კარკასული ტიპის ნაგებობას, სადაც სართულშუა გადახურვებისათვის გამოყენებულია სინკარები, ხოლო გარე პერიმეტრი შემოსაზღვრულია 40 სმ. სისქის მქონე (ბეტონის ბლოკის) კედლით. შენობის სახურავი ბრტყელია.

პროექტი ითვალისწინებს ფასადის მოპირკეთების გამოცვლას. ახალ მოსაპირკეთებელ მასალად გამოყენებულია ბეტონანის ფილები, ბაზალტის ქვა, ხოლო ნაწილი ფასადებისა ილესება და იღებება თეთრად. შენობის სამხრეთ ნაწილში ხდება არსებული კედლების ნაწილობრივი დემონტაჟი და მათ ნაცვლად ეწყობა ალუმინის კასეტური ვიტრაჟები. პროექტში გათვალისწინებულია: კაფე-სასადილო, სამზარეულო, მაღაზია, სანკვანძები, საგამოფენო დარბაზი, სარეპეტიციო დარბაზი, კანცელარია, სამუშაო სივრცეები etc. შიდა მოსაპირკეთებელ მასალებად გამოყენებულია: ბუნებრივი გრანიტის ფილები, კერამოგრანიტი, MDF-ის პანელები, პლასტიკატისა და თაბაშირმუყაოს შეკიდული ჭერები. პროექტი ასევე ითვალისწინებს ტერიტორიის კეთილმოწყობას და გამწვანებას

სამშენებლო სამუშაოების ძირითადი მოცულობები:

- 1) ალუმინის ვიტრაჟების მოწყობა-534.5 კვ.მ.
- 2) ფასადის კედლების მოპირკეთება თეთრი ფერის კერამოგრანიტით-970კვ.მ.
- 3) კედლების თბოიზოლაციის მოწყობა-1544კვ.მ.
- 4) კედლების მოპირკეთება ბაზალტის გლუვი ფილით-384კვ.მ.
- 5) არსებული სახურავის საფარის ზედაპირის მოსწორება ცემენტის ხსნარით-1231კვ.მ.

- 6) არსებული სახურავის მოწყობა ორი ფენა ჰიდროსაიზოლაციო მასალით-1231კვ.მ.
- 7) მდფ-ის დაფაზე ამოჭრილი ნაკეთობების მოწყობა-215კვ.მ.
- 8) ტერასის მოპირკეთება ტრავერტინის ფილებით-192კვ.მ.
- 9) კედლების წყობა ბეტონის ბლოკით სისქით 40სმ-169,21კუბ.მ.
- 10) კედლების წყობა ბეტონის ბლოკით სისქით 10სმ-172.30კვ.მ.
- 11) იატაკის მოპირკეთება კერამოგრანიტის ფილებით-785.6 კვ.მ.
- 12) პლასტმასის შეკიდული ჭერის მოწყობა უჟანგავი ლითონის კარკასით-110.9კვ.მ.
- 13) შეკიდული ჭერის მოწყობა თ/მუყაოს ფილებით უჟანგავი ლითონის კარკასით-796.5კვ.მ.

ძირითადი მანქანა-მექანიზმების ჩამონათვალი:

N	დასახელება	რეოდენობა	შენიშვნა
1	ტრაქტორი პნევმოსვლაზე 80ცხ.ძ	1	
2	ამწე კრანი 5,5- 8,0ტ	1	
3	სატკეპნი 5-ტ	1	
4	ბულდოზერი	1	
5	ამწე პნევმოსვლაზე 16ტ.	1	